ხელშეკრულება №22-491
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(ელექტრონული ტენდერი NAT220013755)

ქ. თბილისი

ხელშეკრულების დამდები მხარეები

შპს ,,ენგურჰესი", იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №8, (ფაქ. მდებარეობა: გალის რ-ნი, სოფ. საბერიო), შემდგომში ,,შემსყიდველად" წოდებული, მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის - ლევან მებონიას სახით, რომელიც მოქმედებს კომპანიის წესდების შესაბამისად ერთის მხრივ და

შპს ,,სოხუმმშენი", იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ნუცუბიძის ფერდობი, IV მ/რ, კორ. 55, სართული 3, შემდგომში ,,მიმწოდებლად" წოდებული, მისი დირექტორის - გიგა ხარებავას სახით, რომელიც ასევე მოქმედებს კომპანიის წესდების შესაბამისად მეორეს მხრივ, შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის - NAT220013755 საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1.,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში-,,ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2.,,ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3.,,დღე", ,,კვირა", ,,თვე"- კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4.,,შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5.,,მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6.,,სამშენებლო სამუშაო" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1.შესყიდვის ობიექტია:
- შპს ,,ენგურჰესი"-ს მიერ დას. საბერიოს ტერიტორიაზე წყალსადენი მაგისტრალის რეაბილიტაციის სამუშაოები.
ხელშეკრულებას თან ერთვის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2.2. კლასიფიკატორის კოდია: 45231113;

3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების პირობები

3.1 სახელშეკრულებო თანხა შეადგენს: 96226,74 (ოთხმოცდათექვსმეტი ათას ორასოცდაექვსი ლარი და 74 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;
3.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში – ლარებში.
3.3 შემსყიდველი მიმწოდებელს (მოთხოვნის შემთხვევაში) ავანსის სახით გადაუხიდის სახელშეკრულებო თანხის 20%-ს, მიმწოდებლის მიერ ამავე ოდენობის თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 5 (ხუთ) სამუშაო დღეში;
3.4 მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივი ანაგარიშსწორება;
3.5 როგორც ეტაპობრივი, ასევე საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე ინსპექტირების ჯგუფის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისა და ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე;
3.6 გაუთვალისწინებელი თანხების ათვისების პირობების დადგომის შემთხვევაში მხარეები აფორმებენ დამატებით შეთანხმებას შესაბამის დოკუმენტებთან ერთად (დამატებით ჩასატარებელი სამუშაოების სადეფექტო აქტი, სამუშაოთა მოცულობა და ხარჯთაღრიცხვა).

4. სამუშაოს შესრულების ადგილი, ვადები და პირობები

4.1 სამუშაოს შესრულების ადგილია: აფხაზეთი, გალის რ-ნი, დას. საბერიო.
4.2 სამუშაოების შესრულების ვადაა: 70 (სამოცდაათი) კალენდარული დღე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან.
4.3 მიმწოდებელს უფლება აქვს სამუშაოები შეასრულოს განსაზღვრულ ვადაზე ადრე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების მიღება შემსყიდველის მიერ ხორციელდება ეტაპობრივად.
5.2. მიმწოდებლის მიერ როგორც ეტაპობრივად, ისე საბოლოოდ შესრულებული სამუშაოები მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან აკრედიტირებული საექსპერტო ორგანიზაციის (შესაბამისი აკრედიტიციის დოკუმენტის წარმოდგენით) მიერ გაცემული დადებითი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი (ფორმა №2)) და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურების შემდეგ.
5.3. შემსყიდველი უფლებამოსილია, სამუშაოების წარმოების პროცესში მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წარდგენილ ეტაპობრივად შესრულებულ სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტსა და ფორმა №2-ს ჩაუტაროს ექსპერტიზა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან შესაბამის სფეროში აკრედიტებული სხვა პირის მეშვეობით საკუთარი სახსრებით. იმ შემთხვევაში, თუ საექსპერტო დასკვნასა და შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) შორის აღმოჩნდება ცდომილება, მიმწოდებელი ვალდებულია, აღმოფხვრას ექსპერტიზის აქტში მითითებული ხარვეზები საკუთარი სახსრებით და აუნაზღაუროს შემსყიდველს დამატებით ჩასატარებელ საექსპერტო მომსახურებაზე გაწეული ხარჯები.
5.4. ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი, რომელიც ადგილზე ამოწმებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ეტაპობრივად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას და ხარისხს.
5.5 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირებია:
- შპს ,,ენგურჰესი“-ს ტექნიკური დირექტორი - გ. ხუბუა, ჯგუფის ხელმძღვანელი;

წევრები:
- შპს ,,ენგურჰესი“-ს რემონტების მენეჯერი - ი. შონია;
- შპს ,,ენგურჰესის“ კომუნალური განყოფილების უფროსი - ს. კვირკველია;
- შპს ,,ენგურჰესი“-ს საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი - რ. გვაგვალია;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1“მიმწოდებელი“ კისრულობს ვალდებულებას:
- მკაცრად დაიცვას სამუშაოების დამთავრების სახელშეკრულებო ვადები, უზრუნველყოს სათანადო ხარისხი;
- მკაცრად დაიცვას უსაფრთხოების ტექნიკის წესები;
- გამოიყენოს უსაფრთხოების დაცვის საკუთარი საშუალებები;
- სამუშაო პროცესს ზედამხედველობა გაუწიოს შრომის უსაფრთხოების საკუთარმა სპეციალისტმა;
- სამუშაოების შეასრულოს საკუთარი მასალებით, სამუშაო იარაღებითა და სამარჯვებით.
- „მიმწოდებლის“ მხრიდან პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ნებისმიერ დროს მოახსენოს „შემსყიდველის“ წარმომადგენელს სამუშაოების შეასრულებისას წამოჭრილი პრობლემების შესახებ.

6.2 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:
- მოახდინოს ,,მიმწოდებლის“ სამუშაოზე დაშვება არსებული უსაფრთხოების ტექნიკის წესების სრული დაცვით.
- დროულად აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ შესრულებული სამუშაოების საფასური.

6.3 სამუშაოების შესრულების დაწყებამდე მხარეები იძლევიან ინფორმაციას მათი მხრიდან სამუშაოს წარმოებასა („მიმწოდებელი“) და ზედამხედველობაზე („შემსყიდველი“) პასუხისმგებელი პირების დანიშვნის შესახებ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
7.2 ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ინპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
- შპს ,,ენგურჰესი“-ს ტექნიკური დირექტორი - გ. ხუბუა, ჯგუფის ხელმძღვანელი;
- შპს ,,ენგურჰესი“-ს რემონტების მენეჯერი - ი. შონია;
- შპს ,,ენგურჰესის“ კომუნალური განყოფილების უფროსი - ს. კვირკველია;
- შპს ,,ენგურჰესი“-ს საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი - რ. გვაგვალია;

8. გარანტია

8.1 შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადაა 3 წელი, დაზიანების თაობაზე შეტყობინების მიღებიდან რეაგირება 24 საათის განმავლობაში, აღდგენა: დაზიანების სირთულიდან გამომდინარე გონივრულ ვადებში მიმწოდებლის მიერ დამატებითი ანაზღაურების გარეშე.
8.2 საგარანტიო პერიოდი არ ეხება ფორსმაჟორული და მექანიკური ზემოქმედებით მომხდარ დაზიანებებს.

9. ხელშეკრულების პირობებისა და ფასების გადასინჯვა

9.1. ყველა დამატება ან შესწორება ამ ხელშეკრულების ირგვლივ ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელმოწერილი და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.
9.2. მხარეებს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება თუ მეორე მხარე ან არ ან ვერ ასრულებს სახელშეკრულებო პირობებს. შეწყვეტის შესახებ მხარეები ატყობინებენ ერთმანეთს დაუყონებლივ მიზეზების ჩვენებით. ხელშეკრულების შეწყვეტამ არ უნდა გამოიწვიოს რომელიმე მხარის უფლებების შელახვა.
9.3. ფასთა ცვლილება განიხილება სამუშაოთა მოცულობაში ცვლილებების ან/და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მაგრამ არა უმეტეს სახელშეკრულებო თანხის 10%-ისა.

10. საავანსო საბანკო გარანტია

10.1 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ღირებულების საავანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების 4.2 პუნქტით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების ვადას 30 (ოცდაათი) დღით.
10.2 შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი საავანსო საბანკო გარანტიის თანხის გათავისუფლება განხორციელდება ეტაპობრივად, საავანსო საბანკო გარანტიისა და შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტის პროპორციულად, გარდა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტისა, ამ შემთხვევაში ხდება საბანკო გარანტიის სრულად გათავისუფლება, რის შემდეგაც გარანტიის დაბრუნება განხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.
10.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსო საბანკო გარანტია, შემსყიდველის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისას

12.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
12.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს
ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
12.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
12.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები.
12.5 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.
12.6 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადაუხდელი თანხის 0.02 პროცენტის ოდენობით.
12.7 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ფორს-მაჟორული გარემოებები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ გარემოებებს, რომლებიც ვერ იქნება კონტროლირებადი მხარეთა მიერ: საომარი მოქმედება (გამოცხადებული ან გამოუცხადებელი), ბლოკადა, რევოლუცია, რადიოაქტიური დაბინძურება ან იონიზირებული რადიაცია, ხანძარი, მიწისძვრა, შტორმი, ციკლონი, ეპიდემია, საქართველოს აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტი. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.
13.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება დამატებითი კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
13.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულებაზე ბოლო კვალიფიციური ელექტრონული ხელისმოწერის ან/და ბოლო კვალიფიციური ელექტრონული შტამპის განთავსების დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
შპს ,,ენგურჰესი"
ს/კ 251716371

იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი,
ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №8

სს ,,საქართველოს ბანკი"
ბ/კ BAGAGE22
ა/ა GE05GE0000000126298600

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

ლევან მებონია

Levan Meboniа
Digitally signed by Levan Mebonia
Date: 2022.08.29 10:27:38 +04'00'

"მიმწოდებელი"
შპს ,,სოხუმმშენი"
ს/კ 405162318
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ნუცუბიძის ფერდობი, IV მ/რ, კორ. 55, სართული 3
სს ,,თიბისი ბანკი"
ბ/კ TBCBGE22
ა/ა GE18TB7367836080100004

დირექტორი

გიგა ხარებავა

Giga Kharebava 62004009101
Digitally signed by Giga Kharebava
Date: 2022.08.26 13:16:17

ვიზა:

ფინანსური დირექტორი: Zviad Kilasonia
Подписано цифровой подписью: Zviad Kilasonia
Дата: 2022.08.26 14:06:30 +04'00'

იურიდიული სამსახური: Mariam Labartkava 01011087968
Digitally signed by Mariam Labartkava
Date: 2022.08.26 12:51:42

შესყიდვებისა და მომარაგების სამსახური: Vakhtang Molashkhia
Digitally signed by Vakhtang Molashkhia
Date: 2022.08.26 10:05:44 +04'00'

დასახლება საბერიოს ტერიტორიაზე წყალსადენი მაგისტრალის რეაბილიტაციის
ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოებისა და დანახარჯების დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ღირებულება (ლარი)						ჯამი
				ხელფასი		მასალები		ტრანსპორტი		
				ერთეული	სულ	ერთეული	სულ	ერთეული	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	წყალსადენის შიდა ქსელის მოწყობის ადგილზე მიწის ამოღება 0.3X0.5X2260 ექსკავატორით	$მ^3$	339.00	10.00	3390.00	0.00	0.00	25.00	8475.00	11865.00
2	წყალსადენის შიდა ქსელის მოწყობის ადგილზე არსებული მილსადენის დემონტაჟი დ-100*4 , დატვირთვა და ენგურჰესში ჯართის სახით ჩაბარება	გ/მ	2260.00	2.38	5378.80	3.00	6780.00	5.00	11300.00	23458.80
3	ქვიშის საფენის მოწყობა, სისქით 10სმ (0,2*0,3*2260)	$მ^3$	135.60	10.00	1356.00	25.00	3390.00	8.00	1084.80	5830.80
4	პლასტმასის მილის 10ატმ, დ-90 მმ. მოწყობა, მიერთება (2260გ/მ)	ადგილი	376.00	10.00	3760.00	20.00	7520.00	5.00	1880.00	13160.00
5	მილების არსებულ ქსელში შეჭრა	ადგილი	2.00	1000.00	2000.00	500.00	1000.00	0.00	0.00	3000.00
6	ურდულის მოწყობა დ-90	ცალი	2.00	300.00	600.00	800.00	1600.00	6.38	12.75	2212.75
7	გრუნტის უკუჩაყრა ექსკავატორით (0,3*0,3*2260)	$მ^3$	203.40	10.00	2034.00	0.00	0.00	20.00	4068.00	6102.00
	პირდაპირი ხარჯების ჯამი				**18518.80**		**20290.00**		**26820.55**	**65629.35**
	სატრანსპორტო ხარჯები შიდა გადაზიდვებზე მასალიდან	5%								1014.50
	ჯამი									66643.85
	ზედნადები ხარჯები	10%								6664.39
	ჯამი									73308.24
	გეგმიური დაგროვება	8%								5864.66
	ჯამი									79172.90
	გაუთვალისწინებელი ხარჯები	3%								2375.19
	ჯამი									81548.09
	დ.ღ.გ.	18%								14678.66
	სულ ჯამი									**96226.74**

Giga Kharebava 62004009101

Digitally signed by Giga Kharebava
Date: 2022.08.26 13:17:37